ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის,
ვერიკო კვირკველიას მოსახლეობასთან შეხვედრის და
2025 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი
24. 10. 2025 წელი
12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია**

საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე**
ქალაქ ლანჩხუთის **ადგილობრივი მაცხოვრებლები**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვერიკო კვირკველია შეხვდა ქალაქ ლანჩხუთში მოსახლეობას და ესაუბრა მიმდინარე წელს მუნიციციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე. ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ მოასფალტდა თითქმის ყველა ქუჩა ქალაქის ტერიტორიაზე, მოეწყო სანიაღვრე არხები, მიმდინარეობს წყალმომარაგებითი სამუშაოები სოფ. მაჩხვარეთისა და ქალაქის ტერიტორიაზე.
თითქმის სრულად არის გაზიფიცირებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.
კეთილმოეწყო და აშენდა სკოლები და საბავშვო ბაღები.
აშენდა და მშენებლობის პროცესშია სტადიონები, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობებისთვის.
მნიშვენლოვანი და ასევე ხასგასმით აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამები მაქსიმალურად მორგებულია მოსახლეობის ინტერესებს, თუმცა ყოველწლიურად მიმდინარეობს მათი დახვეწა.
აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს დაიწყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, მათი ფიზიკური ჯანმრთელობისთვიოს და ასევე სპორტის ბევრ სახეობებში წარმატების მისაღწევად.
ვერიკო კვირკველიამ ახსენა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ქალების გაძლიერებას პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე თვალს ადევნებს მუნიციპალიტეტში ოჯახური ძალადობის ფაქტებს, მართავს საინფორმაციო შეხვედრებს მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რამდენიმე წელია ამოქმედდა ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, რომლითაც რამდენიმე ბენეფიციარმა ისარგებლა.
ასევე საბჭოს წევრები აქტიურად არიან ჩართული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ქალთა ინფორმაციულობის გაზრდისა და პირველადი სკრინიგით უზრუნველყოფის პროექტებში.

მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო საუბარში, და აღინიშნა:

- კანალიზაციის პრობლემა და ითხოვეს, რომ თანამონაწილეობით მოხდეს ამ პრობლემის აღმოფხვრა.
- ასევე გამოიკვეთა საცხოვრებელი ბინების საძირკვლის დატბორვის არაერთი შემთხვევა, რაც დიდ პრობლემას ქმნის ბინებში მაცხოვრებელთათვის, რადგან ნალექიან ამინდში იტბორება და წყალი ჩაედინება ბინების სარდაფებში, რაც იწვევს საძირკვლის მოშლას.
- ასევე მძაფრად დგას კუპრეიშვილის ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მდგრადობის პრობლემა, აქაც სარდაფი არის მნიშვნელოვნად დაზიანებული და სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე წარმოადგენს საშიშროებას მაცხოვრებელთათვის.

- ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მიუსაფარი ძაღლების პრობლემა, რაც არამარტო ანტისანიტარიას ქმნის ქუჩებში, არამედ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს მოსახლეობისთვის.
- აღსანიშნავია, რომ შშმ პირებისთვის ქალაქის ტერიტორია არ არის ადაპტირებული, მათ შორის ქალაქის სკვერი, ასვე მიმდებარე ადგილები, გადასასვლელები, რაც მათ გადაადგილებაში უშლით ხელს.
- აღნსანიშნავია გარევაჭრობის პრობლემა, რაც წლებია გამოწვევაა ჩვენი მოსახლეობისთვის. ანტისანიტარია, დანაგვიანებული ქუჩები, დაბინძურებული ტერიტორია და, რაც მთავარია, არაჯანსაღი გარემოში განთავსებული პროდუქტები ქმნის საგანგაშო პირობებს ჩვენი მოსახლეობისთვის.

მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა ამომრჩევლებს საკრებულოს წევრმა **ვერიკო კვირკველიამ,** და დაჰპირდა მათი პრობლემების შესახებ აღმასრულებელ ორგანოში საუბარს და შეძლებისდაგვარად მათ აღმოფხვრაში დახმარებას.

პატივისცემით,

ვერიკო კვირკველია
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე___